ხელშეკრულება#6

ქ. ახალქალაქი 22 იანვარი 2024 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის: შპს ”მაგთიკომი” წარმოდგენილი ახალქალაქის ოფისის მენეჯერის პატა მღებრიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილის 06.02.2019 N19/02/06-002 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შემდგომში - მიმწოდებელი, ერთის მხრივ და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ აზმანას საჯარო სკოლა, წარმოდგენილი დირექტორის ვარდო შაინიძეს სახით, შემდგომში – შემსყიდველი, მეორეს მხრივ.

ვინაიდან, მხარეთა შორის მოქმედებს ხელშეკრულება/ხელშეკრულებები საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების თაობაზე (შემდგომში - საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება);

ვინაიდან, შემსყიდველის სურვილია, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მოახდინოს ანგარიშსწორება საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით;

ამდენად, მხარეები თანმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 480 ოთხას ოთხმოცი ლარის საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა.

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, მიმწოდებლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

1.3 მიმწოდებელი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ჩარიცხული თანხის პროპორციული მომსახურება, მხარეთა შორის მოქმედი შესაბამისი საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის მოქმედებს რამოდენიმე საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება, შემსყიდველმა თანხის გადარიცხვისას უნდა მიუთითოს რომელი საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა სურს.

2 ანგარიშსწორება

2.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით. უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2024- წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4 ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

4.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების დადგომის შესახებ.

5 სადავო საკითხების გადაწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გაწყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6 დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი აცნობიერებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება მხოლოდ საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვის/ანგარიშსწორების საკითხი. მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდების სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

7 მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი შემსყიდველი

შპს „მაგთიკომი“	სოფელ აზმანას საჯარო სკოლა
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #7	სოფელი აზმანა
ს.ს. ” ლიბერთი ბანკი	თიბისი ბანკი
ანგ. GE81LB0113116112371050	ა/ა GE04TB7638136020100001
კოდი: LBRTGE22	TBCBGE22
საიდ. კოდი: 204876606	223363991
ოფისისი მენეჯერი	დირექტორი
---	---
/პაატა მღებრიშვილი/	/ვარდო შაინიძე/

Paata Mghebrishvili

Digitally signed by Paata Mghebrishvili
Date: 2024.01.22 10:36:41 +04'00'